MES 5 23 0001343400

10/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა
ქეთევან დოჩანაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლა
ნატო შამილიშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა
სარხან ხუბანოვი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლა
ლელა იმედაშვილი - ქალაქ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი
მაია თავართქილაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლა
ციცინო ტარუაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა
ნანა მონიავა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ცირა ნიკოლაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი

სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლა
ლიანა კობესაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ლანა ყურაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
რუსუდანი არზიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო კილაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თაია მამარდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
სოფიო გელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა მარკოზაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლა
ლენა გომართელი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:
ირმა ხმელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თეა ნინუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ელისო ვადაქარია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ავალიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
სოფიკო სიუკაევა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
დიმიტრი პოპოვი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მარინა ანესაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლა
ნინო ვასაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თეა ტაბატაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნანა გიორგობიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ბექა კვაჭაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნადარეიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლა
ლია გრიგოლია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნინო თაბაგარი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ლაურა ჯიმშელეიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 27 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს

თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
2. შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ-ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელი საქაშეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ნაცვლად სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლისა დაფიქსირებული იყო სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო ზემოაღნიშნული ოქმის მეხუთე ნაწილში.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლას (ს/კ: 212706936) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 5).“

საბჭოს სხდომას 16:30 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა.

2. შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლაში განხორციელებული მონიტორი ნგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტზე იმყოფებოდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთან, ცირა ნიკოლაშვილთან ერთად. ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24-25 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, III კვარტალი, N8ა-ში. სკოლა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა, ქართულ ენაზე. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად

განსაზღვრული ჰქონდა 290 მოსწავლე, ხოლო ვიზიტის დროს ბაზაში დაფიქსირებული იყო 288 მოსწავლე.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ ისაუბრა მონიტორინგის განხორციელების მიზეზებზე და განმარტა, რომ კავშირი „საფარის“ მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესული იყო განცხადება, რომლის მიხედვითაც სკოლის მოსწავლის მშობელი აფიქსირებდა არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის შესახებ ინფორმაციას. ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიზანი იყო საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან ცენტრში შემოსული ზემოაღნიშნული კორესპონდენცია, რომლის საფუძველზეც ცენტრის მხრიდან გამოიცა შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ ბრძანება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის პირობების, კერძოდ, ავტორიზაციის მესამე სტანდარტის სტანდარტის 3.3 და 3.4 კომპონენტებისა და მე-4 სტანდარტის შესრულების შემოწმება.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ ისაუბრა დაწესებულებაში გამოვლენილ გარემოებებზე.
ექსპერტმა წარმოადგინა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლის დროს გამოვლინდა ავტორიზაციის სტანდარტებთან გარკვეული შეუსაბამობები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ განმარტა, რომ ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. ექსპერტების მიერ გაცემული იყო სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები. ექიმის კაბინეტში უნდა მოწყობილიყო სველი წერტილი შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილ ვადებში. ექსპერტის განცხადებით აღნიშნული პრობლემის სრულად აღმოფხვრა მოხდებოდა მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. გარდა აღნიშნულისა, სკოლას უნდა მოეპოვებინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას უკვე გააფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან და უმოკლეს ვადებში გეგმავდა აღნიშნული საკითხის მოგვარებას.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ასევე, ისაუბრა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ რეკომენდაცია 4.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადების გათვალისწინებით უნდა შეემუშავებინა განცხადების, საჩივრის განხილვის წესი. აღნიშნულ დოკუმენტაციაში უნდა გაწერილიყო მექანიზმი დისციპლინური დევნისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს არ იყო დაწყებული სკოლის მხრიდან რაიმე სახის წარმოება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას მოცემულ მომენტში ოფიციალურ ვებ-გვერდზე უკვე წარმოდგენილი ჰქონდა ზემოაღნიშნული დოკუმენტი, რომელიც სკოლის მიერ შემუშავდა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის მიმართ დაწყებული დისციპლინური წარმოება, რომელიც არ იყო წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, არგუმენტირებული პოზიციის დროს უკვე სრულყოფილად წარმოადგინა სკოლამ. კერძოდ, კონკრეტული მასწავლებლის მიმართ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა საყვედური, რაც დასტურდებოდა შესაბამისი დოკუმენტაციით.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა მშობლის მიერ წარმოდგენილი საჩივრის დეტალებით და იკითხა, რამდენად მოხდა მოსწავლის უფლებების დარღვევა და როგორ მოახდინა სკოლამ აღნიშნულ საკითხზე რეაგირება. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, აღნიშნულ საკითხზე ესაუბრა სკოლის დირექტორს, რომელიც კონფიდენციალურობის დაცვით სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდიდა საბჭოს წევრებს.

სკოლის დირექტორმა, ქეთევან დოჩანაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული ფაქტის დეტალები. მან განმარტა, რომ საჩივარი დაკავშირებული იყო ცეკვის ერთ-ერთ ღია გაკვეთილზე (რომელსაც ესწრებოდნენ მშობლები და მასწავლებლები) მომხდარ ფაქტთან. მან აღნიშნა, რომ ცეკვის მასწავლებელი სისტემატიურად ეხმარებოდა მოსწავლეებს ცეკვის ნომრებს შორის ფორმების გამოცვლაში. ამ შემთხვევაშიც, ის ეხმარებოდა ბავშვებს, თუმცა მშობლის გაღიზიანება გამოიწვი იმ ფაქტმა, რომ მასწავლებელი უხეშად ხელით შეეხო ბავშვს სახეზე, რის გამოც მშობელი ითხოვდა სასწრაფო რეაგირებას და მასწავლებლის დასჯას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოსწავლეს და მასწავლებელს, მომხარ ფაქტამდეც და მის შემდეგაც, ჰქონდათ დადებითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა აღნიშნული ფაქტის შემდეგ თუ გააგრძელა ბავშვმა ცეკვა, რაზეც სკოლის დირექტორისგან დადებითი პასუხი მიიღო. სკოლის დირექტორმა, ქეთევან დოჩანაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად სკოლას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოება არ დაუწყია, თუმცა მისი მხრიდან შედგა სკოლის მასწავლებელთან ამ საკითხზე პირისპირ საუბარი.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, თუ როდის მიიღო სკოლამ მასწავლებლის მიმართ დისციპლინური ზომა, გაფრთხილება. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, კერძოდ კი ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, სკოლამ გამოსცა შესაბამისი ბრძანება. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო დირექტორის დამოკიდებულება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად საკმარისად მიაჩნდა სკოლას ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, მასწავლებლისთვის მხოლოდ გაფრთხილების მიცემა.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა იმ ფაქტით, თუ რამდენად მონაწილეობდა მასწავლებელი ცეკვებს შორის მოსწავლეებისთვის ცეკვის ფორმების გამოცვლის პროცესში. დირექტორმა, ქეთევან დოჩანაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მასწავლებელი ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული, თუმცა აღნიშნული დახმარება ხდებოდა არა ყოველ რეპეტიციაზე და გაკვეთილზე, არამედ კონცერტზე და აღნიშნული ფაქტიც სწორედ ერთ-ერთ ღია გაკვეთილზე დაფიქსირდა, რომელსაც ესწრებოდნენ მშობლებიც. ქეთევან დოჩანაშვილმა დაამატა, რომ მასწავლებელი მონაწილეობას არ იღებდა მოსწავლეებისთვის ფორმების გამოცვლის პროცესში, ის ეხმარებოდა მხოლოდ წინსაფრების გაკეთებაში და, მისი თქმით, მომხდარი ფაქტიც ზუსტად აღნიშნული პროცესის დროს დაფიქსირდა.

საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია დაინტერესდა, მოხდა თუ არა მოსწავლესთან სკოლის ფსიქოლოგის გასაუბრება. სკოლის დირექტორმა, ქეთევან დოჩანაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის ფსიქოლოგს ჰქონდა კომუნიკაცია მოსწავლესთან. აქვე, სკოლის დირექტორმა დაამატა, რომ დირექციის მხრიდან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მყისიერად იყო სიტყვიერი რეაგირება, თუმცა მასწავლებლის მიმართ გაფრთხილების წერილობითი ფორმით გამოცხადება მოხდა ექსპერტთა სკოლაში ვიზიტის შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ მონიტორინგის ფარგლები არ ითვალისწინებდა იმ კონკრეტული საკითხების გამოკვლევას, რაც სკოლაში დაფიქსირებული ფაქტის შესასწავლად იყო საჭირო. შესაბამისად, საბჭოსთვის რთული იქნებოდა გაერკვიათ, იყო თუ არა სკოლაში მოსწავლეებისათვის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა გაიზიარა საბჭოს თავმჯდომარის

მოსაზრება და დაამატა, რომ მოცემული საკითხით რთული იქნებოდა საბჭოს ემსჯელა, თუ როგორ იცავდა სკოლა მოსწავლის უფლებებს და იყო თუ არა სკოლაში შექმნილი მათთვის უსაფრთხო გარემო.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუირების პროცესი ჰქონდათ სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სამივე საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან. ექსპერტმა ისაუბრა მოსწავლეთა მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებზე და აღნიშნა, რომ ისინი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სკოლაში არსებულ პროექტებთან დაკავშირებით, ღიად და ლაღად საუბრობდნენ სკოლაში მიმდინარე პროცესებსა და აქტივობებზე. ექსპერტის თქმით, განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლეთა მხრიდან გამახვილებული იყო სამოქალაქო განათლების მიმართულებით სკოლაში არსებულ პროექტებზე. აქვე, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ მთავარი იყო ცეკვის მასწავლებელს გაეაზრებინა მომხდარი ფაქტი და სკოლას ემუშავა აღნიშნულ მასწავლებელთან, რადგან მნიშვნელობა არ ჰქონდა რა ფორმით შეეხებოდა მასწავლებელი მოსწავლეს. ასევე, მისი თქმით, აუცილებელი იყო სკოლას მყისიერი რეაგირება ჰქონოდა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ნანა მონიავამ, ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ მათ მიერ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ მშობლებს. მან განმარტა, რომ მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ მშობლები ესწრებოდნენ ზემოაღნიშნულ ცეკვის ღია გაკვეთილს და მომხდარ ფაქტს. ნანა მონიავას განმარტებით, მშობლებს მომხარი ფაქტის შედეგად ჰქონდათ შეგრძნება, რომ სკოლას მოცემულ მომენტში უფრო მეტად აინტერესებდა ღონისძიების ჩატარება, ვიდრე მომხდარ ფაქტზე მყისიერი რეაგირება, რომლის შედეგადაც მათ გაუჩნდათ განცდა, თითქოს მათი შვილები არ იყვნენ სათანადოდ დაფასებულნი და არ იყო მათი უფლებები დაცული.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, მოცემულ მომენტში კვლავ ჰქონდა თუ არა სკოლას აღნიშნულ ცეკვის მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რაზეც სკოლის დირექტორმა, ქეთევან დოჩანაშვილმა დადებითი პასუხი გასცა. აქვე, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლის დანაშაული იყო შესაბამისი სამართლებრივი ჩანაწერის არ არსებობა დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლის მიხედვითაც სკოლა მყისიერ ნაბიჯებს გადადგამდა მომხარ ფაქტთან დაკავშირებით. ქეთევან დოჩანაშვილის განცხადებით, მას ფაქტის მოხდენის დღესვე ჰქონდა კომუნიკაცია მასწავლებელთან, ხოლო კლასის დამრიგებელს კომუნიკაცია ჰქონდა მოსწავლის მშობელთან. მან აღნიშნა, რომ სკოლა სთხოვდა მოსწავლის მშობელს სკოლაში მოსვლასა და გასაუბრებას, თუმცა ის არ მოსულა. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლის ფსიქოლოგსაც ჰქონდა მოსწავლესთან კომუნიკაცია. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ რადგან მოცემულ დღეს დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, მუსიკა გაითიშა და ღონისძიების დამსწრე საზოგადოებას მოუწია დიდი ხნით ლოდინი, რა დროსაც დაიღალნენ მოსწავლეები და ფორმების გამოცვლის დროს მოხდა მასწავლებლის მხრიდან უხეშად მოსწავლესთან შეხება, სკოლამ გადაწყვიტა, რომ მეორე დღესაც მშობლების გარეშე, მხოლოდ მოსწავლეებისთვის გაემართათ ცეკვის ღონისძიება და განემუხტათ მოსწავლეებისთვის დღე.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, თუ როდის ჰქონდა დაწესებულებას მინიჭებული ავტორიზაცია და მოცემულ მომენტში რამდენი მოსწავლე და მასწავლებელი ირიცხებოდა სკოლაში. სკოლის დირექტორმა, ქეთევან დოჩანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული იყო 65 მასწავლებელი და ირიცხებოდა 290 მოსწავლე, ხოლო დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა უსრულდებოდა 2024 წლის ივლისის თვეში, შესაბამისად, სტატუსის უწყვეტობის მიზნით, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში მათ ცენტრში უნდა წარედგინათ საავტორიზაციო განაცხადი, რომლისთვისაც უკვე დაწყებული ჰქონდათ მუშაობის პროცესი.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სკოლა მომავალში გაითვალისწინებდა მომხდარ ფაქტს და სხვა შემთხვევაში იმუშავებდა პრევენციაზე და სკოლას ექნებოდა მყისიერი რეაგირება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭო დიდ ყურადებას უთმობდა მსგავსი საკითხების განხილვისას სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციასა და რეფლექსიას. მან აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა გააზრებული მომხდარი ფაქტი და არ ესმოდა რას ნიშნავდა ძალადობა. მისი თქმით, სკოლას არ ჰქონდა მზაობა ემოქმედა მსგავს სიტუაციებში. ეკატერინე კვირიკაშვილის განმარტებით, სკოლის მხრიდან მხოლოდ დისციპლინური სახდელის დაკისრება საკმარისი არ იყო და სკოლას უნდა დაეწყო შესაბამისი მოკვლევა ფაქტთან დაკავშირებით. აქვე, საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ზემოაღნიშნული გარემოებები მის მიერ იქნებოდა გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა გაიზიარა საბჭოს წევრის, ეკატერინე კვირიკაშვილის მოსაზრება და დაამატა, რომ ის იმედოვნებდა მომავალში სკოლა გაითვალისწინებდა მომხდარ ფაქტს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ სკოლის დირექტორის მხრიდან მოსწავლის მშობელთან მოხდა კომუნიკაცია, რატომ დასჭირდა მშობელს დამატებით საჩივრით კავშირ „საფარისთვის“ და შემდეგ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთვის მიმართვა. სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ კლასის დამრიგებელმა და სკოლის დირექტორის მოადგილემ მიმართეს მშობელს, თუმცა მას არ გამოუთქვამს სკოლაში მოსვლისა და კომუნიკაციის სურვილი.

საბჭოს სხდომაზე 17:00 საათზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-19 და 25-ე პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის (ს/კ: 404903734) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა მე-3 სტანდარტის 3.4 და მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს წევრებმა, თამარ მამსიკაშვილმა, მანანა ჯინჭარაძემ, ეკატერინე კვირიკაშვილმა და შალვა მეკრავიშვილმა მხარი არ დაუჭირეს შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხს. საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ განმარტა, რომ დაფიქსირებული იყო მოსწავლეზე ძალადობის ფაქტი, რომელზეც სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი რეაგირება და სკოლას არ ჰქონდა მზაობა ემოქმედა მსგავს სიტუაციებში. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა და საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და შალვა მეკრავიშვილმა გაიზიარეს საბჭოს მდივნის, მანანა ჯინჭარაძის პოზიცია.

3. სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიანა კობესაშვილმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 8 და 9 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა მე-2 შესახვევი N5-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი

შეფასდა შესაბამისად, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ხოლო ზოგადად მე-3 სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად. რაც შეეხებოდა მე-2 და მე-4 სტანდარტებს, ისინი შეფასდა შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა ისაუბრა დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს გამოვლენილ ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ სკოლას შესაბამის ორგანოსთან არ ჰქონდა შეთანხებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე, არ ჰქონდა დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად არ ჰქონდა აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და არ ჰყავდა კვალიფიციური ექიმი. ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში, ასევე, არ იყო ადაპტირებული გარემო და სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ იყო ინდიკატორის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაედასტურებინა საკითხები, რომელიც დაკავშირებული იყო სკოლის უსაფრთხოებასთან. კერძოდ, რა ეტაპზე იყო შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების მომზადების საკითხი. სკოლის დირექტორმა, ნატო შამილიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას უკვე ჰქონდა დასკვნა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული შენობის მდგრადობის შესახებ. სკოლამ, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეათანხმა საკითხები, რომელიც ეხებოდა შენობაში ლიფტისა და პანდუსების განთავსებას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა დაეზუსტებინა ეტალონთან ხელშეკრულების გაფორმებამდე აწარმოეს თუ არა ბაზრის კვლევა და ჰქონდათ თუ არა შესაბამისი სახის დასკვნები მომზადებული. სკოლის დირექტორმა, ნატო შამილიშვილმა აღნიშნა, რომ მათ არ განუხორციელებიათ წინასწარ ბაზრის შესწავლა, თუმცა მომავალში აპირებდნენ გამოკვლევას და საუკეთესო ვარიანტის არჩევას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე

მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბადრი ბერანძის სახელობის ქალაქ ქობულეთის №6 საჯარო სკოლას (ს/კ: 246994025) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. მე-2 შესახვევი N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. მე-2 შესახვევი N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. მე-2 შესახვევი N5

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში;
მონიტორინგის ფარგლები - მესამე სტანდარტის 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

4. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლენა გომართელმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მუღალნოში. დაწესებულება დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში სკოლის მიერ მოთხოვნილი იყო აზერბაიჯანულ ენაზე საშუალო საფეხურის დამატება. გარდა ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 260.

ექსპერტმა, ლენა გომართელმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა დიდ ძალისხმევას დებდა სახელმწიფო ენის პოპულარიზაციაში, ისინი ჩართული იყვნენ პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ისეთ საკითხებს, რაც სასკოლო თემში აქტუალური იყო, მაგალითად, ნაადრევი ქორწინება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბავშვთა უფლებები და სხვა. სკოლა ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელიც წარმატებით ინერგებოდა, როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების მიმართულებით. სკოლაში ჩამოყალიბებული იყო წიგნიერების კლუბი. სკოლა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა რემედიაციულ აქტივობებს. ექსპერტის თქმით, სკოლაში მასწავლებელთა უმეტესობას ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი და ესწრებოდა პროფესიული განვითარების ტრენინგებს.

ექსპერტის, ლენა გომართელის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებაც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, 1.2, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.6, 3.7, 4.1 და 4.2 კომპონენტები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1-ლი სტანდარტი შეესაბამებოდა, მე-2 და მე-4 სტანდარტები მეტწილად შეესაბამებოდა, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს.

აქვე, ლენა გომართელმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში.

ექსპერტმა, ასევე, საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საჭიროებდა რეაბილიტაციას, ჰქონდა განახლებული საპირფარეშოები, დიდი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი და ექიმის კაბინეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა, როგორ ხდებოდა უცხოეთიდან ჩამოსულ მოსწავლეთა განათლების აღიარების პროცედურები. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ მოსწავლის ცოდნის

აღიარების და კლასების დაძლევის ორი წესი. ერთი გულისხმობდა მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და მეორე ექსტერნის გზით განსხვავებული საგნების დაძლევას.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა ეტაპზე იყო ექიმის კაბინეტის მომზადება და ექიმის ან ექთნის აყვანის პროცედურები. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰქონდათ აღნიშნული საკითხები სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახული. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, სარხან ხუბანოვმა აღნიშნა, რომ მათ უკვე მზად ჰქონდათ ექიმის კაბინეტი და მოცემულ მომენტში აპირებდნენ ვაკანსიის გამოცხადებას ექიმის პოზიციაზე. რაც შეეხებოდა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული საკითხების ასახვას, სარხან ხუბანოვმა განაცხადა, რომ მათ გამორჩათ საკითხის დამატება.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რაზეც ექსპერტმა, ლენა გომართელმა განაცხადა, რომ სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რის შესახებაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რჩევა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა განემარტათ მზად იყო თუ არა სკოლა საშუალო საფეხურის დამატებისთვის.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, თეა ნინუამ აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა ლაბორატორია საბუნებისმეტყველო საგნებისთვის, თუმცა მასწავლებლები სხვა დამატებით რესურსებს იყენებდნენ გაკვეთილის წარმართვისთვის. მისი განმარტებით, სკოლა ამ მდგომარეობით მზად იყო დაემატებინა საშუალო საფეხურიც.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, კითხვით მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაესახელებინა ის აქტივობები, რასაც ახორციელებდნენ მოსწავლე-მასწავლებლები მათემატიკის მიმართულებით. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა შეროზიამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა შეფასების რუბრიკები, ასევე, სკოლა ჩართული იყო ჯიპრაიდში, ჰქონდათ სადიაგნოსტიკო ტესტები და კურიკულუმები. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა მზაობა განვითარებულიყო და ემუშავა მოცემულ საკითხებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი რესურსი. ექსპერტმა, ლენა გომართელმა განმარტა, რომ სკოლას შეეძლო უზრუნველეყო მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.
გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება იმატებდა საშუალო საფეხურს, პროცესის უწყვეტობისა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მიზნით, სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 27 სექტემბრიდან.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 და მე-11 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლას (ს/კ: 238146270) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 27 სექტემბერი. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული, აზერბაიჯანული	საგარეჯო, სოფელი მუღანლო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული, აზერბაიჯანული	საგარეჯო, სოფელი მუღანლო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	აზერბაიჯანული	საგარეჯო, სოფელი მუღანლო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

5. სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 აგვისტოს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ოზურგეთში, ნინოშვილის ქ. N5-ში. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ქართულ ენაზე. სკოლას მოთხოვნილი ჰქონდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 1500 მოსწავლით ორ ცვლაში, რასაც ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა.
ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ვასაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს ირიცხებოდა 600 მოსწავლე და შეძლებდა 1500 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო გარემოს შექმნას თუ სასწავლო პროცესს წარმართავდა ორ ცვლაში.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა არაფორმალური განათლების მიმართულებით გამოცდილება. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებდა სამოქალაქო განათლების კლუბი, ეკოკლუბი, მკითხველთა კლუბი და ფოლკლორის კლუბი „საუნჯე“. აღნიშნული აქტივობებისთვის გამოყოფილი იყო ცალკე სივრცე, სადაც მოსწავლეებს შექმნილი ჰქონდათ სასიამოვნო გარემო და ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტებს. დაწესებულებას კოლეჯ „ჰორიზონტთან“ თანამშრომლობის ფარგლებში გადაეცა ინვენტარი, რაც საჭირო იყო სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესასწავლად. სკოლა რეგულარულად უწევდა მოსწავლეებს კონსულტაციებს პროფორიენტაციის მიმართულებით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას შექმნილი ჰქონდა ინკლუზიური სასწავლო გარემო. სკოლას ჰქონდა შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა - ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი და სასწავლო რესურსები. ექსპერტის განცხადებით, სპეციალური მასწავლებლები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში, მოპოვებული ჰქონდათ დაფინანსება, რითიც აღიჭურვა რესურს ოთახი. ნინო ვასაძის განმარტებით, დაწესებულებაში ხორციელდებოდა სოციალური ინკლუზიის მიმართულებით პროექტები, რომელშიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე და რჩევებზე, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. აქვე, განმარტა, რომ მესამე სტანდარტის 3.4 და 3.6 კომპონენტები სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ნინო ვასაძემ ისაუბრა სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაზე, რომელიც შედგებოდა მდიდარი წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები და დამხმარე სახელმძღვანელოები.
ექსპერტ, ნინო ვასაძის განმარტებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ალუმნების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სკოლის კურსდამთავრებულები იკრიბებოდნენ და ეხმარებოდნენ დაწესებულებას სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობა იყო გარემონტებული და სრულად რეაბილიტირებული. ამავე კორპუსში იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, სასკოლო ბუფეტი, სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით. სკოლა გეგმავდა ყველა სასკოლო ოთახის ეტაპობრივად აღჭურვას პროექტორით. სკოლაში ფუნქციონირებდა ექიმის ოთახი, რომელიც იყო საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. სკოლას ეზოში ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, რომელიც იყო მოწესრიგებული, შემოღობილი და დაფარული ხელოვნური საფარით.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ყველა დოკუმენტი ჰქონდა დირექტორის ხელმოწერით მომზადებული და რადგან ის იყო დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, უმჯობესი იქნებოდა, თუ შეიცვლებოდა ხელმომწერი პირის სტატუსი. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ის იყო დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და სკოლა გამოასწორებდა აღნიშნულ ტექნიკურ ხარვეზს.
საბჭოს თავმჯომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, შეძლებდა თუ არა სკოლა უზრუნველეყო მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია თავართქილაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სკოლის ეზოში განთავსებული ორი დამოუკიდებელი კორპუსი, სამ სართულიანი. მისივე თქმით, სკოლა მოცემულ მომენტში იყო ერთ ცვლაში და ირიცხებოდა 650 მოსწავლე. ინფრასტრუქტურის გამო, სკოლას ჰყავდა მზარდი მოსწავლეთა კონტიგენტი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, მიმდინარე წელს სკოლა დაამთავრა 45 მოსწავლემ, ხოლო პირველ კლასში ჩაირიცხა 85 მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რამ განაპირობა მოსწავლეთა მზარდი მოთხოვნა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია თავართქილაძემ განაცხადა, რომ სკოლის რეაბილიტირებულმა გარემომ განაპირობა მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა იკითხა, თუ რამდენ კლასში ჰყავდა სკოლას გადანაწილებული 85 პირველკლასელი. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია თავართქილაძემ უპასუხა, რომ სკოლას 85 პირველკლასელი გადანაწილებული ჰყავდა ოთხ კლასში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა იყო შთამბეჭდავი. მან კითხვით მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, რეაბილიტაციის შემდეგ გადაეცა თუ არა დაწესებულებას შენობის მდგრადობის შესახებ დოკუმენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია თავართქილაძემ განაცხადა, რომ სკოლას არ გადასცემია შენობის მდგრადობის შესახებ დოკუმენტი. მან განმარტა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ სკოლამ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და წლის ბოლომდე ექნებოდა სკოლას აღნიშნული დასკვნა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება უკეთ შეძლებდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ოზურგეთის საგანამანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, ლელა იმედაშვილს, თუ რატომ ითხოვდა სკოლა 1500 მოსწავლეს.
ლელა იმედაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლას ჰქონდა ყველა საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი უზრუნველეყო 1500 მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა ამ ეტაპზე საჭიროება ორ ცვლაში სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის, ასევე, მან საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დაწესებულებას სასწავლო პროცესი განეხორციელებინა ერთ ცვლაში და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 800 მოსწავლით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ აღნიშნული არგუმენტებიდან გამომდინარე, რომელზეც ისაუბრა სკოლის წარმომადგენელმა, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა და ექსპერტებმა, დაწესებულებას ჰქონდა მზაობა უზრუნველეყო 1500 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 237095905) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ოზურგეთი, ნინოშვილის 5.
2		საბაზო	ქართული	ქ. ოზურგეთი, ნინოშვილის 5.

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ოზურგეთი, ნინოშვილის 5.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2025 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.4 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

6. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი ს განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ლია გრიგოლიამ წარმოადგინა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე პროფორიენტაციის თვალსაზრისით, წარმოადგინა ვიზუალური მასალა პროფორიენტაციის კუთხით გათვალისწინებული ჭრა-კერვის და მოდელირების კურსის სასწავლო გარემოს და ნამუშევრების გასაცნობად.
ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ განმარტა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლა ახორციელებდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული.
სკოლას თვითშეფასების დოკუმენტით მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 175 მოსწავლე.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ 3.4 კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით ცენტრში წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, აღნიშნული კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“ სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო მესამე სტანდარტი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. ლია გრიგოლიამ დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა სკოლას მიმართა კითხვით, იყენებდა თუ არა სკოლა ელექტრონული საქმისწარმოების წესს. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ლია გრიგოლიამ განმარტა, რომ ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყენებდა Eflow-ს და Eschool-ის სისტემებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა წერილი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 250.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი რესურსი. ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ განმარტა, რომ სკოლას შეეძლო უზრუნველეყო მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლას(ს/კ: 218049332) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქაშეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქაშეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქაშეთი

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, 2024 წლის სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუჭირა მხარი სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა